



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №351/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების
მეორე ტურის დანიშვნის შესახებ

ქ. თბილისი

2018 წლის 14 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 105-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტური გაიმართოს 2018 წლის 28 ნოემბერს.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი